ბრძანება:**№49. 49261313**

თარიღი:**11/05/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის წინადადება საკრებულოს სხდომაზე საკითხის განხილვისა და რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ. ვინაიდან წერილში მითითებული საკითხი არის საკრებულოს კვარტალური სამუშაო გეგმით გაუთვალისწინებელი საკითხი, რომლებიც საჭიროებს სასწრაფოდ განხილვას,საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 26–ე მუხლის მე–2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ" ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2026 წლის 13 მაისს, 12:00 საათზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე, მოწვეული იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების გატარებისათვის განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:

ა) ბრძანების გამოქვეყნება;

ბ) საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;

გ) საკრებულოს წევრთა რეგისტრაცია 11:30 საათიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს გელა თათარაშვილს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი,

კუპრაძის ქ. №11).

კობა გურეშიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი